ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №5925406

ნომერი: AR1893435

თარიღი : 15.04.2022

გაცემის თარიღი : 04.05.2022

გაცნობის თარიღი : 11.05.2022

შედეგი : შუალედური.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , თამარ მეფის გამზირი N18;

დამკვეთი-განმცხადებელი

- მაია გოგლიძე პ/ნ 01027020069
- ცოდნის კარის ქ 18

ნომენკლატურა :

- I კლასი
- შენობა-ნაგებობის ფასადისა და სახურავის სარემონტო და მოპირკეთებითი სამუშაოები, როცა ხდება ფერის ან მასალის ცვლილება

რეკონსტრუქცია

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-5, 51-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიეტქტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსის, საქართველოს მთავრობის 2019 წლის 31 მაისის №255 დადგენილებით დამტკიცებული მშენებლობის ნებართვის გაცემისა და შენობა-ნაგებობის ექსპლუატაციაში მიღების წესის და პირობების, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის №39-18 დადგენილებით დამტკიცებული დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის და ქალაქ

თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის №14-39 დადგენილებით დამტკიცებული ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების თანახმად.

გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურმა განიხილა თქვენს მიერ ელექტრონულად ატვირთული დოკუმენტაცია და გაცნობებთ:
წარმოდგენილი ფოთომონტაჟიდან ვერ დგინდება მთლიანად ხდება სახურავის მასალის ცვლილება თუ შნობის ნახევარზრე. იმისათვის რომ სამსახურმა იმსჯელოს აღნიშნულ საკითხზე საჭიროია წარმოადგინოთ სრულყოფილი დოკუმენტაცია
1. ვინაიდან სახურავი წარმოადგენს საერთო საკუთრებაში არსებულ ფართს, წარმოადგინეთ მიწის ნაკვეთის ყველა თანამესაკუთრის სათანადო წესით (სანოტარო) დამოწმებული თანხმობები მიმდინარე განცხადებით შესათანხმებელ სამუშაოებთან დაკავშირებით.
მიწის ნაკვეთის ერთიან ამონაწერში ასევე ფიქსირდება ჩანაწერი თანამესაკუთრის, საჭიროა წარმოადგინოთ საჯარო რეესტრიდან ინფორმაცია თუ ვინ იგულისხმება აღნიშნულ ჩანაწერში და წარმოადგინოთ მათი არსებობის შემთხვევაში სათანადო წესით დამოწმებული თანხმობები მიმდინარე განცხადებით შესათანხმებელ სამუშაოებთან დაკავშირებით ან განაახლეთ მიწის ნაკვეთის ამონაწერი და ჩანაწერი თანამესაკუთრის აღარ ფიქსირდებოდეს.
2. .ფოტომონტაჟი -> ..ფოტომონტაჟის pdf ფაილი : წარმოადგინეთ სახურავის მასალა და ფერის ექსპლიკაცია ასევე სრულყოფილად დაიტანეთ ნიშნულები.

თქვენ გეძლევათ 15 დღიანი ვადა განცხადებაში მითითებული ხარვეზების გამოსასწორებლად, თუ დადგენილ ვადაში არ წარმოადგენთ შესაბამის დოკუმენტაციას აღნიშნული განცხადება დარჩება განუხილველი.

- დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიის ცხელ ხაზზე - 2722222, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ. #7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე#4.

- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.